თბილისის “დინამოს” ახალი გამარჯვება

ლენინგრადი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).

100 ათასი მაყურებელი დაესწრო ლენინგრადის კიროვის სახელობის სტადიონზე გათამაშების ლიდერის – თბილისის “დინამოსა” და მისი ლენინგრადელი თანაკლუბელების მატჩს.

ლენინგრადელებმა თამაში მძაფრი შეტევით დაიწყეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ მათი თავდამსხმელები ზედმეტად ჩქარობდნენ და გადამწყვეტ მომენტში არაზუსტად თამაშობდნენ.

მასპინძელთა შეტევები მალე შენელდა. იერიშზე თბილისელები გადავიდნენ და რამდენიმე ტემპიანი, ეფექტური კომბინაციის შემდეგ ანგარიშიც გახსნეს: ჯოჯუამ მიიღო ???როშვილის გადაცემა, გაიჭრა ცენტრისკენ და ძლიერი დარტყმით აიძულა გრიშჩენკო ბურთი ბადიდან გამოეტანა.

ცოტა ხნის შემდეგ ანთაძემ, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა თამაში, სწრაფად და მოულოდნელად გადაჭრა თითქმის მთელი მოედანი და ზუსტი დარტყმით გაიტანა მეორე ბურთი.

ლენინგრადელთა ნახევარმცველები და შუამარბები მთლიანად დაკავებული იყვნენ დაცვის ფუნქციებით და ვერ ახერხებდნენ კონტრშტევების წარმართვას. მაინც, შესვენების წინ ???ოლინმა (#9) კარგად გამოიყენა კუთხური მოწოდება და გაქვითა ერთი ბურთი.

მატჩის მეორე ნახევარი კვლავ თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. რამდენიმეჯერ სახიფათოდ გადიან ლენინგრადელთა კართან ღოღობერიძე, გაგნიძე, ჯოჯუა. ?? წუთზე ანთაძემ კვლავ გაიმეორა თავისი ღრმა რეიდი. ამჯერად, თავისუფლად მდგომ ჯოჯუას მიაწოდა ბურთი, რომელმაც 10 მეტრიდან მძლავრი დარტყმით ზემო ძელს ქვეშ მესამე ბურთი გაიტანა.

თამაშის ბოლომდე ანგარიში – 3:1 არ შეცვლილა.

“ლელო”, 18 მაისი 1951 წ.